პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---ნოემბერი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ზესარიონ ქებურიას დასახლების I და III ქუჩებისთვის ქართველი სამხედრო მფრინავის იზანი ცერცვაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ". საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დადგინა:

1. სამგორის რაიონში, ზესარიონ ქებურიას დასახლების I და III ქუჩებს მიენიჭოს ქართველი სამხედრო მფრინავის იზანი ცერცვაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

პროექტი


X:494623 Y:4615027
X:494774 Y:4614972
X:494843 Y:4614930
X:494796 Y:4614932
იზანი ცერცვაძის ქ.
X:495314 Y:4614580

ადრესატი:

ლია ცოცხალაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-032430526**
თარიღი: **31/10/2024**

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან კომუნიკაციის საფუძველზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში გზათა ქსელის სახელწოდებების მოწესრიგებასთან დაკავშირებით.

ხსენებულ დასახლებაში ქუჩების უმრავლესობას მინიჭებული აქვს ქართველი მფრინავების (მიხეილ გრიგორაშვილი, ნინა ხუბულავა, რუსუდან ჟორდანია) და აფხაზეთის ომში გარდაცვლილი მებრძოლების (რევაზ ბებია, გელა მინდიკაური) სახელები.

გზათა ქსელის სახელწოდებების მოწესრიგების ნაწილში კომისია საჭიროდ მიიჩნევს რამდენიმე ქუჩისთვის ახალი სახელის მინიჭებას. კომისიის მიერ საქმისწარმოების პროცესში დამუშავდა აფხაზეთის საომარ მოქმედებებში გარდაცვლილი მფრინავების ბიოგრაფიული მონაცემები. ჩვენი მოსაზრებით ერთ-ერთი ქუჩისთვის იზანი ცერცვაძის სახელის მინიჭება კომისიის მხრიდან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნება პოლკოვნიკის ღვაწლის სათანადოდ დაფასების თვალსაზრისით.

აღნიშნულის გათვალისწინებით გთხოვთ, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურიდან გამოითხოვოთ ინფორმაცია იზანი ცერცვაძის მოღვაწეობის შესახებ, ასევე სამსახურს სთხოვოთ პოზიციის დაფიქსირება სახელდებასთან დაკავშირებით და შესაძლებლობის შემთხვევაში აღმოგვიჩინონ დახმარება მფრინავის ოჯახის წევრებთან დასაკავშირებლად.

დანართის სახით გაუგზავნეთ ქუჩის სიტუაციური ნახაზი

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

იზანი ცერცვაძე

(1952-1993)

ქართველი სამხედრო მფრინავი, საქართველოს სამხედრო საჰაერო ძალების პირველი სარდალი, პოლკოვნიკი

დაიბადა თბილისში. დაამთავრა ჩერნიგოვის უმაღლესი სამხედრო-საჰაერო სასწავლებელი. 1972–1982 წლებში მსახურობდა საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალების გამანადგურებელ პოლკში. 1985 წელს დაამთავრა გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია. 1985 წლიდან იყო პოლკის მეთაური, შემდეგ საავიაციო უზრუნველყოფის ცენტრის უფროსი. მიენიჭა პირველი კლასის მფრინავისა და სამხედრო მფრინავ-გამომცდელის წოდებები.

1992 წლის 18 ივნისს დაინიშნა დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლად. მის მიერ 1992 წლის 19 სექტემბერს სუ-25-ით განხორციელებული გაფრენა ითვლება საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების დაბადების თარიღად. აფხაზეთის ომის დროს ხელმძღვანელობდა საჰაერო ოპერაციებს. პირადად ასრულებდა საბრძოლო გაფრენებს. 1993 წლის 23 სექტემბერს სოხუმის რაიონში, სოფელ თავისუფლებასთან მისი სუ-25 ჩამოაგდეს, რასაც შეეწირა აზანი ცერცვაძის სიცოცხლე. სიკვდილის შემდეგ მიენიჭა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი (1993).